ერაზმუს+ ინსტიტუციური თანამშრომლობის პროექტი

„საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისთვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების შექმნა“

E-PSY – Establishment of Psychological Counseling Centers at Georgian HEIs for Students

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„სტუდენტური ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და მენტალური ჯანმრთელობის საკითხები“

6 ოქტომბერი, 2023, თელავი, საქართველო

International Scientific Conference

"Student Psychological Well-being and Mental Health Issues"

6 October, 2023, Telavi, Georgia

კონფერენციის თეზისები

Abstract's Book

რედაქტორი – ინდირა ძაგანია

სარედაქციო საბჭო: თამარ გაგოშიძე, ნანული (ნანა) ცხვედაძე, ხათუნა ამაღლობელი, მარიამ ფანჯიკიძე, მარინა აროშიძე, თეონა ლოდია, ია ჩიქიაშვილი, ნინო ბასილაშვილი, თეონა ხუფენია, ქეთევან ლატარია, მაია მაჭავარიანი-წერეთელი, დავით ნატროშვილი, ქეთევან ნარიმანიშვილი, გულიკო ბექაური, ქეთევან ლომსაძე, ნინო ქარსელაძე.

Editor – Indira Dzagania

Editorial Board: Tamar Gagoshidze, Nanuli (Nana) Tskhvedadze, Khatuna Amaghlobeli, Mariam Fanjikidze, Marina Aroshidze, Teona Lodia, Ia Chikiashvili, Nino Basilashvili, Teona Khupenia, Ketevan Lataria, Maia Matchavariani-Tsereteli, David Natroshvili, Ketevan Narimanishvili, Guliko Bekauri, Ketevan Lomsadze, Nino Karseladze.

შინაარსი

Contents

- **თამარ გაგოშიძე,** სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის სერვისის დანერგვა თსუ-ში……. 5

  Tamar Gagoshidze, Implementation of student psychological counseling service at TSU……. 6

- **ნანული (ნანა) ცხვედაძე, ხათუნა ამაღლობელი,** სტუდენტური სტრესის წყაროებისა და დახმარების აღქმული საჭიროების ტენდენციები ქართული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებში…….. 8

  Nanuli (Nana) Tskhvedadze, Khatuna Amaghlobeli, Tendencies in sources of stress and perceived need for help among Georgia's higher education students……... 9

- **ნინო შარია, ნანული (ნანა) ცხვედაძე,** ეთიკური და ლეგალური საკითხები ფსიქოლოგიის პრაქტიკაში…….. 10

  Nino Sharia, Nanuli (Nana) Tskhvedadze, Ethical and legal issues in the practice of psychology…….. 10

- **გულიკო ბექაური,** უნივერსიტეტის როლი სტუდენტთა კეთილდღეობის მიღწევაში……... 11

  Guliko Bekauri, The role of the university for the well-being of students…… 12

- **ლელა აბდუშელიშვილი,** პოზიტიური ფსიქოლოგია განათლებაში…… 13

  Lela Abdushelishvili, Positive Psychology in Education……... 14

- **ქეთევან ნარიმანიშვილი,** სტუდენტების ბედნიერების, ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა და მენტალური ჯანმრთელობის მახასიათებლებს შორის ურთიერთმიმართების შესწავლა……... 15

  Ketevan Narimanishvili, Exploring the relationship between student happiness, psychological well-being, and mental health characteristics……. 17

- **ნათელა ჭოჭუა,** ირაციონალური რწმენების როლი იდენტობის კონსტრუირებისა და რეკონ-სტრუირების პროცესში და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა……..... 18

  Natela Tchotchua, The role of irrational beliefs in the process of identity construction and reconstruction and the feeling of psychological well-being……... 19

- **რუსუდან ფიფია,** სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კომუნიკაციის ფუნდამენტური უნარები საუნივერსიტეტო კონტექსტში……..... 20
  Rusudan Pipia, Student-oriented learning and fundamental communication skills in the university context……..... 21

- **დანიელა პოპა,** სტუდენტის კეთილდღეობის გავლენა სამასწავლებლო კარიერის მოტივაციასა და აღქმულ თვითეფექტურობაზე…….. 22
  Daniela Popa, The impact of student well-being on motivation for teaching careers and perceived self-efficacy……... 22

- **გიორგი ყიფიანი,** კომუნიკაციური უნარების კურსის ადგილი დამხმარე პროფესიების კური-კულუმში……..... 23
  Giorgi Kipiani, The role of the communication skills course in the helping professions curriculum… 24

- **რობერტ ლაუკსი,** ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მოდელები პოლონეთის უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის……... 25
  Robert Lauks, Models of Psychological Support for Students in Polish Universities…….. 27

- **ქეთევან კიკნაძე,** ხასიათის სიმტკიცის ნიშნებისა და ღირსებების მიმართება კეთილდღეობის მულტიგანზომილებიან PERMA მოდელთან…… 28
  Ketevan Kiknadze, Correlation of character traits and honors with the multidimensional PERMA model of well-being…….. 29

- **მარიტა ზუბიაშვილი,** სიტუაციური მაგალითების ანალიზი დევიაციის ჭრილში (ირვინ გოფ-მანის ნაშრომის „თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში“ მიხედვით)……..... 30
  Marita Zubiashvili, Analysis of situational examples in terms of deviation (According to Irwin Goffman's work "Self-Presentation in Everyday Life")……..... 31

- **ნინო ჯანაშია,** თვითზრუნვის უნარები და მათი როლი სტუდენტების ფსიქოლოგიურ კეთილ-დღეობაში……... 33
  Nino Janashia, The significance of self-care skills in promoting students' psychological well-being…. 34

- **ქეთევან დევაძე, თამარ აბულაძე,** სტუდენტებში ბავშვობისდროინდელი სექსუალური ძალა-დობის გამოცდილებისა და მისი გავლენის კვლევა……..... 36

variables. The results suggest that there are associations between the variables studied, so that concern for increasing the level of well-being of student teachers may lead to an increase in the quality of teaching activity.

გიორგი ყიფიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი

კომუნიკაციური უნარების კურსის ადგილი დამხმარე პროფესიების კურიკულუმში

თანამედროვე მსოფლიოში მოზარდებში ემპათიის კლება კომპიუტერული გაჯეტებით გატაცებით გამოწვეულად მიიჩნევა. კოვიდ-პანდემიის პერიოდმა, ასევე, შემაფერხებელი გავლენა მოახდინა ახალგაზრდებში კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე.

სოციალური (დამხმარე) პროფესიების (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, ექიმები, მასწავლებლები, მენეჯერები და ა.შ.) სწავლების არსებული პროგრამები, უპირატესად, განამტკიცებს შეფასებით და დირექტიულ მიდგომას პიროვნებათაშორის ურთიერთობებში, რაც დამაბრკოლებელია ახალგაზრდების ჰარმონიული და შემოქმედებითი განვითარებისთვის.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული უნარების ტრენინგის არჩევითი კურსი მოიცავს კომუნიკაციური უნარების სწავლებას. კურსზე ჩაწერილი ბაკალავრიატის მესამე-მეოთხე კურსების სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი მოითხოვს კომუნიკაციური უნარების – მოსმენისა და ემპათიის განმავითარებელ პრაქტიკულ აქტივობებში ჩართვას, აღნიშნავს ემოციური კონტაქტების სიმცირეს საუნივერსიტეტო გარემოში; ამასთან ერთად, მათთვის სიახლეს წარმოადგენს სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგის სიტუაცია და ხშირად გული წყდებათ, რომ პირველი კურსიდანვე არ გაიარეს კომუნიკაციური უნარების ტრენინგის კურსი.

თუ კომუნიკაციური უნარების კურსი სწავლების პირველივე წლიდანვე სავალდებულო იქნება სტუდენტებისათვის, ეს გააადვილებს მათ ადაპტაციას საუნივერსიტეტო გარემოში, თავიდანვე უზრუნველყოფს არაშეფასებითი მიდგომის ჩამოყალიბებას ახალგაზრდებში.

კურსი დაფუძნებულია კარლ როჯერსისა და ტომას გორდონის კომუნიკაციური უნარების ტრენინგის პროგრამებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ფსიქოლოგ კონსულტანტების, მასწავლებლების, მშობლებისა და ლიდერების მომზადებისათვის. კურსი ახალგაზრდებში განავითარებს როგორც პროფესიული საქმიანობისათვის რეკომენდებულ, ასევე ყოველდღიური ურთიერთობებისთვის აუცილებელ კომუნიკაციურ უნარებს.

Giorgi Kipiani

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,

Associate Professor

The role of the communication skills courses in the helping professions curriculum

In today's world, the decline of empathy among adolescents is considered to be caused by the obsession with computer gadgets. The period of the covid-pandemic also had a disruptive effect on the development of communication skills among young people.

The existing training programs of social (helping) professions (social workers, psychologists, doctors, teachers, managers, etc.) reinforce a predominantly evaluative and directive approach to interpersonal relationships, which is an obstacle to the harmonious and creative development of young people.

The optional course of professional skills training at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University includes the teaching of communication skills. A significant part of the third-fourth year undergraduate students enrolled in the course requires involvement in practical activities that develop communication skills - listening and empathy, notes the lack of emotional contacts in the university environment, along with that, the situation of social-psychological training is a novelty for them, and they are often saddened that they did not take a communication skills training course from the very first year.

If the course in communication skills is mandatory for students from the first year of study, it'll facilitate their adaptation to the university environment and ensure the formation of a non-evaluative approach among young people from the beginning.

The course is based on the communication skills training programs of Carl Rogers and Thomas Gordon, which are intended for the training of psychological consultants, teachers, parents, and leaders. The course will develop young people's communication skills, both recommended for professional activities and necessary for everyday relationships.

რობერტ ლაუკსი

ბიდგოშჩის ეკონომიკის უნივერსიტეტი, პოლონეთი,

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დირექტორი

ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მოდელები პოლონეთის უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის

ნაშრომში მიმოხილულია პოლონეთის უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მოდელები. იგი ხაზს უსვამს სხვადასხვა მიდგომასა და სტრატეგიას, რომლებიც განხორციელდა სტუდენტების ემოციური კეთილდღეობისა და მენტალური ჯანმრთელობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. კვლევა განიხილავს ოთხ ძირითად მოდელს: კამპუსში კონსულტაციის სერვისებს, დამხმარე ჯგუფებს, ონლაინ კონსულტაციებსა და პრევენციულ პროგრამებს.

კამპუსში არსებული საკონსულტაციო სერვისები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სტუდენტებისთვის ინდივიდუალური ფსიქოლოგიური დახმარების გაწევაში. ამ ცენტრებში დასაქმებულნი არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგები, რომლებიც სტუდენტებს სთავაზობენ კონფიდენციალურ კონსულტაციებს, ეხმარებიან მათ ემოციურ სირთულეებთან, სტრესთან და საუნივერსიტეტო ცხოვრების გამოწვევებთან გამკლავებაში. მოკლევადიანი თერაპია, დაძლევის სტრატეგიები და ემოციური მხარდაჭერა ამ სერვისების განუყოფელი ნაწილია.